

შპს „ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტი“

დამტკიცებულია
წარმომადგენლობითი საბჭოს გადაწყვეტილებით
ოქმი № _____ 2016 წ.

ადმინისტრაციის ხელმძღვანელი, კანცლერი

_____ *ლ. ხვედელიძე*

_____ *2016 წ.*

ინსტრუქტორის
თანამდებობრივი ინსტრუქცია

ნდ №2-010301-20-03

ბათუმი
2016

წინასიტყვაობა:

1. დამუშავებულია ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ;
2. დამტკიცებულია წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ;
3. ძალაში შედის დამტკიცებისთანავე;
4. ინსტრუქციის პერიოდული შემოწმება ხდება არაუგვიანეს 12 თვისა;
5. ცვლილებები მუშავდება სასწავლო უნივერსიტეტში ინსტრუქციის გამოყენების შედეგების ან იმ ნორმატიული დოკუმენტების მოთხოვნათა ცვლილებების გათვალისწინებით, რომლის საფუძველზეც დამუშავდა ეს ინსტრუქცია.

ინსტრუქციაში ცვლილებების აღრიცხვის ფურცელი

ცვლილებების ბიულეტენის №	ცვლილებების დამტკიცების თარიღი	შეცვლილი გვერდები	კორექტირების შემსრულებელი პასუხისმგებელი პირის ხელმოწერა

1. გავრცელების სფერო

- 1.1 წინამდებარე ინსტრუქცია განსაზღვრავს საერთაშორისო საზღვაო მომზადების ცენტრის ინსტრუქტორის (შემდგომში ინსტრუქტორი) ვალდებულებებს, უფლებებს და პასუხისმგებლობას;
- 1.2 წინამდებარე ინსტრუქცია წარმოადგენს ნორმატიულ დოკუმენტს აინსტრუქტორისთვის;
- 1.3. წინამდებარე ინსტრუქციის აღრიცხული ეგზემპლარები ინახება:
 1. ადმინისტრაციის ხელმძღვანელთან-კანცლერთან (ორიგინალი);
 2. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში (ელ. ვერსია);
 3. საერთაშორისო საზღვაო მომზადების ცენტრში (ელ. ვერსია).

2. გამოყენებული ნორმატიული დოკუმენტები

- 2.1. წინამდებარე ინსტრუქცია დამუშავებულია შემდეგი ნორმატიული დოკუმენტების საფუძველზე:
 - 2.1.1. ISO 9001-2015 - ხარისხის მენეჯმენტის სისტემა. მოთხოვნები.
 - 2.1.2. ISO 9000-2015 - ხარისხის მენეჯმენტის სისტემა. ლექსიკონი.
 - 2.1.3. „საქართველოს კანონი უმაღლესი განათლების შესახებ“;
 - 2.1.4. ნდ №2-010101-ბნსუ-ის წესდება;
 - 2.1.5. ნდ №2-020101-ბნსუ-ის ხარისხის სახელმძღვანელო;
 - 2.1.6. ნდ №2-020101-01- დოკუმენტების მართვის პროცედურა;

3. ტერმინები, განსაზღვრებები, შემოკლებები

- 3.1. წინამდებარე კრებულში მოყვანილი ტერმინების განმარტებები მოცემულია ხარისხის სახელმძღვანელოში:

3.2 შემოკლებები

- **ISO** - სტანდარტიზაციის საერთაშორისო ორგანიზაცია;
- **STCW**- საერთაშორისო კონვენცია მეზღვაურთა მომზადების, დიპლომირების და ვახტაზე დგომის შესახებ;
- **IMO**-საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაცია;
- **ხმს**-ხარისხის მენეჯმენტის სისტემა;
- **ბნსუ** - შპს „ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტი“;
- **ნდ** - ნორმატიული დოკუმენტი;**MO**
- **მსმენელები**-კურსანტები, სტუდენტები და საზღვაო სპეციალისტები.

4. ინსტრუქტორის თანამდებობრივი ინსტრუქცია

4.1. ზოგადი დებულებები

1. ინსტრუქტორი თანამდებობაზე ინიშნება და თავისუფლდება ადმინისტრაციის ხელმძღვანელის-კანცლერის ბრძანებით და უშუალოდ ექვემდებარება საერთაშორისო საზღვაო მომზადების ცენტრის ხელმძღვანელს-ტრენინგ-მენეჯერს;
2. ინსტრუქტორს უნდა ჰქონდეს უმაღლესი საზღვაო განათლება, გემებზე მუშაობის არანაკლებ 10 წლის სტაჟი, მათ შორის ხელმძღვანელ თანამდებობაზე მუშაობის არანაკლებ 5 წლის სტაჟი (კაპიტნად, უფროს თანამშემწედ, უფროს მექანიკოსად, ელექტრომექანიკოსად და მეორე მექანიკოსად);
3. უნდა ჰქონდეს იმ დონის კვალიფიკაცია, რომელზეც ის ასწავლის თუ ამოწმებს;
4. კარგად უნდა ერკვეოდეს მომზადების პროგრამაში და იცოდეს სპეციფიკური მომზადების ამოცანები ჩასატარებელი მომზადების კონკრეტული სახისათვის;
5. უნდა ჰქონდეს მოსამზადებელი სპეციალისტების სწავლების და კომპეტენტურობის შეფასების პრაქტიკული გამოცდილება;
6. უნდა ჰქონდეს კონკრეტული ტიპის ტრენაჟორის გამოყენების პრაქტიკული გამოცდილება;
7. ARPA, RADAR, GMDSS, BTM, ETM ტრენაჟორებზე მუშაობისა და სწავლებისათვის უნდა ჰქონდეთ სპეციალური სერტიფიკატი, რომელიც ადასტურებს მათ კომპეტენტურობას და აძლევს სწავლების უფლებას;
8. ინსტრუქტორი თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს ხარისხის საერთაშორისო სტანდარტის ISO 9001:2015 მოთხოვნებით, საერთაშორისო კონვენციებით, საქართველოს კანონებით, ცენტრის დებულებით, წინამდებარე ინსტრუქციით და სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით. რექტორისა და კანცლერის ინდივიდუალური ნორმატიული აქტებით.

4.2. ვალდებულებები

საერთაშორისო საზღვაო მომზადების ცენტრის ინსტრუქტორი ვალდებულია:

1. იცოდეს ბნსუ-ის პოლიტიკა, მიზნები და მოვალეობები ხარისხის სფეროში;
2. დაიცვას ხარისხის სისტემის და დამუშავებული პროცედურების მოთხოვნილებები;
3. გამოავლინოს შეუსაბამოები ქვედანაყოფის საქმიანობასთან და დოკუმენტებით განსაზღვრულ მოთხოვნებთან დაკავშირებით;
4. აცნობოს ქვედანაყოფის ხელმძღვანელს გამოვლენილი შეუსაბამობის შესახებ;
5. გაატაროს ღონისძიებები ქვედანაყოფის ხელმძღვანელის მითითების თანახმად გამოვლენილი შეუსაბამობის აღმოსაფხვრელად.
6. საქმიანობის დაგეგმვის და განხორციელების პროცესში ხელმძღვანელობს რისკებზე ორიენტირებული აზროვნების მოთხოვნებით;
7. ჩაატაროს მსმენელთა თეორიული და პრაქტიკული სწავლება დამტკიცებული სასწავლო კურსების შესაბამისად;
8. მუდმივად თვალყური ადევნოს კურსის შესაბამისობას IMO-ის ახალ მოთხოვნებთან და შეიტანოს შესაბამისი შესწორებები;
9. შეასრულოს კურსის ჩატარებისათვის საჭირო ყველა მოწყობილობის შემოწმება;
10. კურსის ჩატარების დაწყებამდე გააცნოს მსმენელები უსაფრთხოების ტექნიკის და ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების წესებს;
11. ჩაატაროს სწავლება ინტერაქტიული სახით, მსმენელებზე ცოდნისა და უნარის გადაცემის ყველა თანამედროვე მეთოდის გამოყენების საშუალებით;
12. კურსის ჩატარებისას დარწმუნდეს მსმენელების მიერ საგნის გაგებაში და სწავლების დროს მიღებული გამოცდილების პრაქტიკული დემონსტრირების შესაძლებლობებში;

13. მონაწილეობა მიიღოს მსმენელთა მომზადების ხარისხის გაუმჯობესებისათვის ღონისძიებების შემუშავებასა და განხორციელებაში;
14. კოორდინატორთან ერთად დააკომპლექტოს კურსების მსმენელთა სასწავლო ჯგუფები;
15. ორგანიზება გაუწიოს და ჩაატაროს მეთოდური სამუშაო ყველა კურსზე;
16. მოამზადოს მასალები საგამოცდო კომისიის ოქმების გაფორმებისთვის;
17. უზრუნველყოს საჭირო დოკუმენტების მომზადება შესაბამისი სწავლების წარმატებით დამთავრებული მსმენელებისათვის;
18. კურსის დამთავრების შემდეგ ჩაატაროს თეორიული ცოდნის და პრაქტიკული უნარების დემონსტრირების შესაძლებლობების შეფასება; მისცეს მსმენელებს შესავსებად უკუკავშირის ბლანკები. საბოლოო დოკუმენტები გადასცეს ცენტრის კოორდინატორს;
19. შეამოწმოს საჭირო წიგნების და დამხმარე სახელმძღვანელოების არსებობა;
20. შეამოწმოს ტრენაჟორის უზრუნველყოფა ყველა საჭირო მოწყობილობით, მასალებით და მეთოდური სახელმძღვანელოებით. შეადგინოს სავარჯიშოები ტრენინგის ჩატარებისათვის თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად.
21. შეამოწმოს ჟურნალში ჩანაწერების შესაბამისობა სასწავლო პროგრამებთან და კალენდარულ გეგმებთან;

4.3 უფლებები

საერთაშორისო საზღვაო მომზადების ცენტრის ინსტრუქტორს უფლება აქვს:

1. ხელმძღვანელობის წინაშე დააყენოს საკითხი არასაპატიო მიზეზით გაცდენის მქონე და შინაგანაწესის დამრღვევი მსმენელების მეცადინეობიდან განთავისუფლების შესახებ.

4.4. პასუხისმგებლობა

საერთაშორისო საზღვაო მომზადების ცენტრის ინსტრუქტორი პასუხისმგებელია:

1. ცენტრის დებულებით და წინამდებარე ინსტრუქციით მასზე დაკისრებული მოვალეობების დროულ და ხარისხიან შესრულებაზე;
2. ხარისხის საერთაშორისო სტანდარტის ISO 9001:2015 მიხედვით ქვედანაყოფში ხარისხის სისტემის მოთხოვნების დაცვაზე.
3. შინაგანაწესის და შრომის დისციპლინის დაცვაზე;
4. კონფიდენციალობის მოთხოვნების დაცვაზე;

შეთანხმებულია
იურისკონსულტი

გ. დიასამიძე

5. ინსტრუქციის პერიოდული შემოწმების აღრიცხვის ფურცელი

№№ რ/ნ	პერიოდული შემოწმების თარიღი	შემმოწმებლის გვარი, ინიციალები, თანამდებობა	ხელმოწერა	ცვლილებას ექვემდებარება პუნქტები

